დანართი №5

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
წევრ(ებ)ი: თამარ თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ნანა ჭავჭანიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
თამარ ზედგინიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240890871

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ქარელი, სოფელი ქვენატკოცა
საფოსტო ინდექსი	4500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2447
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kvenatkotsa@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591959095

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 25 0000503072; 08.05.2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	09-10 ივნისი 2025წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვენატკოცა, შენობა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვენატკოცა, შენობა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვენატკოცა, შენობა N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 09-10 ივნისს შედგა სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის დებულებით“განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

საგნობრივი ექსპერტების მხრიდან განხორციელდა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი კურიკულუმების შეფასება , რომლის დროსაც დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის რევიზიაში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი.ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 460	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი* *განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*
	სასკოლო კურიკულუმი	

	საბაზო *განათლების ზოგადსაგანმანათლებლო* *პროგრამა*	
	სასკოლო *კურიკულუმი* *საშუალო* *განათლების ზოგადსაგანმანათლებლ* *პროგრამა*	

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება 27.06.2026 წლამდე.*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 4.1.2.	*სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;*	*დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (15.09.2025) უზრუნველყოს მოსწავლის ჩარიცხვა კანონმდებლობის შესაბამისად.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*დაწესებულებამ შეაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (09.07.2026) სკოლა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით აღჭურვოს.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*

ინდიკატორი N.3.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	სკოლამ უსაფრთხოების მიზნით,გაათავისუფლოს ეზო ბალახებისა და სამშენებლო ნარჩენებისაგან
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოეობის სპეციალისტი დასაქმება
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	დაწესებულებამ მასწავლებლიბს შერჩევისას იხელმძღვანელოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით, კერძოდ შესარჩევი კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, კოისია დაკომპლექტდეს დადგენილი პირებით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი/საბაზო /საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N.... 2.1.2.1	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს მეორე თემის დასახელება, „შეგრძნების ორგანოები“-ს ნაცვლად აისახოს- „ადამიანის შეგრძნების ორგანოები“, მესამე თემის- „რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობის“ ნაცვლად აისახოს- „ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯამრთელობა“. ფიზიკის მე-7 კლასის კურუკულუმის ჩარჩოში ასახული თემა „ფიზიკური მოვლენები“ შესაბამის საკითხებთან ერთად გაერთიანდეს თემასთან „ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები“, დაზუსტდეს დანარჩენი სავალდებულო თემების დასახელებები, კერძოდ, „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“ და „ძალა და წნევა“. თემების მიხედვით აისახოს სრულად საფეხურის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ფიზიკის მე-9 კლასის კურუკულუმის ჩარჩოში დაზუსტდეს სავალდებულო თემის დასახელება- “თანაბარი და არათანაბარი

		მოძრაობა, მრუდწირული მოძრაობის" ნაცვლად აისახოს "თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა". თემები "ნიუტონის კანონები და მათი გამოყენება" და "მუდმივობის კანონები, სტატისტიკა" შესაბამის ძირითად საკითხებთან/საკითხთა კლასტერებთან ერთად გაერთიანდეს ერთ თემად- „სტატიკა და დინამიკა". *საშუალო საფეხურის ფიზიკის მე-10 კლასის კურიკულუმში მოცემული ძირითადი საკითხები ან საკითხთა კლასტერები გადანაწილდეს ორი თემის ფარგლებში- "ელექტროსტატიკა" და "მუდმივი დენის კანონი". ფიზიკის მე-12 კლასის კურიკულუმში მოცემული ძირითადი საკითხები ან საკითხთა კლასტერები გადანაწილდეს სამი სავალდებულო თემის ფარგლებში- "მოლეკულური ფიზიკა და თერმოდინამიკა", "ატომური, ბირთული და კვანტური ფიზიკის საწყისები", "ასტროფიზიკის საწყისები". მე-11 კლასის ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოში, მესამე თემაში- "არაორგანული ნაერთების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები" ამოსაღებია ჩანაწერი- "მეტალები და მათი ნაერთები". მე-12 კლასის ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოში, თემების- "ნახშირწყალბადების ქიმიის" და "ფუნქციური ჯგუფების შემცველის" ფარგლებში გააზრებული უნდა იყოს საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, ამდენად, საჭიროა მათი ასახვა.*
2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	*კოლას ეძლევა რჩევა დაწყებითი საფეხურის მე-2 კლასის ბუნებისმეტყველების საგნ კურიკულუმში, სათაურის ნაწილში გასწორდეს კლასის მითითება და აისახოს სკოლის დასახელება. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმში თემები: "ყვავილოვანი მცენარეები", "ბუნებრივი მოვლენები", "მუძუმწოვრები და მათი გარემო"- გაერთიანდეს ერთ თემაში- "ჩემი ქვეყნის ბუნება". მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული საკითხები ან საკითხთა კლასტერი გადანაწილდეს ორი თემის ფარგლებში- "დედამიწა" და "ციკლური პროცესები ბუნებაში", ამავე დროს ყველა სამიზნე ცნებასთან აისახოს შესაბამისი დასამუშავებელი ქვეცნებები. ჩარჩოში მოცემული დანართის საფუძველზ (კომპლექსური დავალების მატრიცა) კურიკულუმში დაფიქსირდეს კომპლექსური დავალების იდეა, შეივსოს ძირითადი კონტექს-მაგალითები/ქეისის და "მაგალითი შედარებისათვის" სვეტები. მე- 5 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმ ჩარჩოში მოცემული საკითხები ან საკითხთა კლასტერი გადანაწილდეს სამ თემაში- "კოსმოსი", "ეკოსისტემები" და "მოვლენები ჩვენს გარშემი", აისახოს ყველა სამიზნე ცნებასთან ქვეცნებები. მე-6 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმში,*

		თემების სვეტში აისახოს და დაინომროს მხოლოდ სამი თემის დასახელება: პირველი თემა- "ენერგია და მისი გარდაქმნა", მეორე თემა- "ნივთიერება და მათი დაყოფის გზები", მესამე თემა- "ადამიანის სხეული და ჯამთელობა". მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში ჩაემატოს ქვეცნებები *. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველობის საგნების პირველიდან -მე-4 კლასის და მე-6 კლასის კურიკულუმებში, თემების ფარგლებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე დაფიქსირდეს დაგეგმილი რეალური ან/და ვირტუალური ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო სამუშაოების დასახელება.* *დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში განმავითარებელი, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურზე და დაწყებით საფეხურზე V კლასის მეორე სემესტრში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები, ანუ რის მიღწევა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.*
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	*საბაზო საფეხურის მე-12-კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში დასახელდეს ბიბლიოგრაფიული გაფორმების სტილის დაცვით ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო* *მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში დასახელდეს ბიბლიოგრაფიული გაფორმების სტილის დაცვით ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო* *საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-7, მე-8, მე-9, კურიკულუმების ჩარჩოებში შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი*

		რესურსები და სხვა. აგრეთვე, განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა. *საშუალო საფეხურის ქიმიის საგნის მე-12 კლასის კურიკულუმში დასახელდეს ბიბლიოგრაფიული გაფორმების სტილის დაცვით ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო.* *საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების -ბიოლოგიის მე-10, მე-11, მე-12 ფიზიკის მე-10, მე-12, ქიმიის მე-10 (მეორე, მესამე თემის ფარგლებში), მე-12, კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა. აგრეთვე განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლის (შემდგომში ,,სკოლა", ,,დაწესებულება'')**მისიაა:** ,,მოამზადოს მოსწავლეები მომავალი წარმატებული ცხოვრებისათვის, აღზარდოს ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, წიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი მიზანდასახული და ციფრული მოქალაქეობის უნარის მქონე თაობა, რომელსაც ექნება ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიოში." სკოლის **ხედვაა:** ,,სკოლა იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული. სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. აღჭურვოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით."სკოლის ფილოსოფია დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე, აღნიშნული პროცედურა დადგენილია დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,სტრატეგიული განვითარებისა და სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიის'' დოკუმენტით.

წაროდგენილი სკოლის ფილოსოფია ეხმიანება ზოგადი განათლების მიზნებს, თუმცა ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია სკოლის მისიისაფორმულირებისას აქცენტი გააკეთოს ისეთი ტიპის განაცხადზე, რომელიც ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ/ძირითად დანიშნულებას. მისია არის ის ძირითადი მიზანი ან მიზეზი, რისთვისაც შეიქმნა ორგანიზაცია.მიაქციოს ყურადრება იმას. რომ სკოლის მისიისა და ხედვის ორიგინალობას ქმნის მისი საზოგადოების, თემის სპეციფიკა, ის გამოწვევები და ღირებულებები, რაც მის კულტურას აყალიბებს.ასევე, ხედვის ფორმულირებისას ხედვა იყოს მოკლე განაცხადი, რომელშიც ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ,სკოლის წარმოდგენაში დახატული სასურველი, იდეალური მომავლის სურათი,შესაძლებელია, ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომელშიც უნდა განვითარდეს სკოლა.სკოლის მისიის და ხედვის შესწავლისას დგინდება , რომ იგი შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს ,რითაც **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგდოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლის ფილოსოფიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ პედაგოგების ჩართულობა და მათი როლი მოსწავლის მიღწევებსა და შედეგებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ,,სკოლის ფილოსოფიისა(მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის,საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ'' სკოლის დირექტორის ბრძანება , რომლითაც განსაზღვრულია ის პირები , ვისაც დაევალა სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, ბრძანებით განსაზღვრული არიან პედაგოგები, მშობლები,აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობის პროცესი იკვეთება,ამასთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კვლევის კითხვარების ფორმა,თუმცა შეუვსებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დირექტორის განმარტებით, სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო პედაგოგიურ საბჭოზე მოხდა ზემიპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება.აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმომადგნა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის საინფორმაციო დაფაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელს ქვენატკოცის საჯარო სკოლა.შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვებ-გვერდი;

დამტკიცებული სკოლის ფილოსოფია,პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;

გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტის მიხედვით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს: თანამონაწილეობა,სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და პორცესში მათ ჩართულობას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2023 წელს , ხოლო მასში გაცხადებული სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია და დამტკიცებულია 2024 წელს.ვინაიდან სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება წინ უსწრებს ფილოსოფიის შემუშვებას და არ გამომდინარეობს ახალი ფილოსოფიდან ექსპერტებს მიაჩნია, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იყო, <u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმოადგინა განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ვინაიდან სკოლის ფილოსოფიასთან არ არის ბმაში დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა, შესაბამისად მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმის შეფასება და ანალიზი ვერ განხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის.**
<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმოადგინა განახლებული სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ვიზიტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგნილი დოკუმენტების შესწავლისას დადგინდა, რომ სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები და აქტივობები არ ითვალისწინებს შესაბამის შესრულების ინდიკატორებს, ამასთან ვინაიდან სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახული მიზნები და ამოცანები მოქმედ ფილოსოფიას არ შეესაბამება , შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გადატანილი აქტივობები არარელევანტურია . ინდიკატორი **დაკმაყოფილებული არ არის.**
<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმოადგინა განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის გრძელვადიანი სტრატგიული გეგმა;
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
სტრატეგიული განვითარებისა და სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგია;
ინტერვიუს შედეგები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლების სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად აკონტროლებს.სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები,სკოლას დადგეილი აქვს მეთოდოლოგიით სქემა (ცხრილი) რითაც მოახდენს მონიტორინგის შედეგების ანალიზს.აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით
დაწესებულების დირექტორის განმარტებით,მონიტორინგის პროცესს წარმართავს სკოლის დირექცია, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფას სკოლის ვებ-გვერდზე. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის
სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი ირკვევა, რომ რეგულარულად იმართება შეხვედრები, რომელზეც განიხილება სკოლის განვითარებასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები. იკვეთება საჭიროებები, პრობლემები და ისახება გადაჭრის გზები. სასწავლო წლის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრების თავმჯდომარეების, სკოლის დირექციის ანგარიშის საფუძველზე მოხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინება. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **სტანდარტთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სტრატეგიული განვითარებისა და სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგია;
ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია:დირექტორი, ბუღალტერბი,საქმიმწარმოებელი,საინფორმაციო მენეჯერი,ბიბლიოთეკარი,ექიმი, 2დარაჯი, 3 დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი-1 ,ფსიქოლოგი და სხვ. გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები, რომლის მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია -მოვალეობები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ორგანოგრამის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დამტკიცებული საშტატო ნუსხით არსებულ თანამდებობებს ორგანოგრამა არ ითვალისწინებდა, ვიზიტის დროს დაწესებულებამ აღნიშნული გაითვალისწინა და წარმოადგინა განახლებული დოკუმენტი სადაც დატანილია ყველა სტრუქტურული ერთეულების/პირი/პირები. ამასთან, სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ფუქნცია-მოვალეობები. ი**ნდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით (N 2-54; 03.09.2024) დამტკიცებული ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ'' დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს,ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი ურთიერთობა, თუმცა მნიშვნელოვანია და რეკომენდებულია სკოლამ კონტროლი გაუწიოს საშემსრულებლო დისციპლინას და ანგარიშვალდებულების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორ**ების მტკიცებულებები.*

სკოლის საშტატო განრიგი;

სკოლის ორგანოგრამა;
სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ დოკუმენტი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი N1 ; 08.09.2023) დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'',რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა,სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზმება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონსძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწვლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლაში მასწავლებლის დასაქმებისას მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებით ხელმძღვანელობს, თუმცა ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში არ იყო მოქმედ კანონმდებლობასთან ,

კერძოდ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება მასწავლებელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, არ ითვალისწინებდა კომისიაში ყველა იმ სავალდებულო პირთა ჩამონათვალს რაც დადგენილია კანონმდებლობით, აღნიშნულის საფუძველზე პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ იქნება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცული. თანამშრომელთა პირადი საქმეების შერჩევითი პრინციპით შერჩევისას ზოგიერთ მათგანს არ ქონდა წარმოდგენილი კანონმდებლობით მოთხოვნილი დოკუმენტიაცია , კერძოდ სკოლაში არ არის დაცული ყველა თანამშრომელის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, დადგენილი. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმოადგინა თანამშრომელთა ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები,რომელიც ვიზიტის პერიოდში აკლდა, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

დაწესებულებაში დასაქმებულთა პირადი საქმეების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემის eschool მონაცემთა ბაზების გადამოწმების შედეგად დადგინდა , რომ სკოლაში დასაქმებულია მოწვეულ მასწავლებლად ორი პირი რომელთა საათობრივი დატვირთვა აღებატება კვირეულ 9 სთ-ს. ამასთან, სკოლაში დასაქმებული უსუტატუსო მასწავლებელი, რომელთან არ არის გაფორმებული შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება (გამოცდის ჩაარების პირობა), სკოლაში საგანს- მეწარმეობა ასწავლის ბიბლიოთეკარი, რომელსაც არ აქვს მასწავლებლის სტატუსი. აღნიშნულის გათვალისწინებით **პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია,რითაც უსტატუსო მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა განისაზღვრა 9 სთ-ით, ამგვარად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.</u>

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, ხოლო სკოლის სტრუქტურული ერთეულების: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო თანამშრომლობით პრინციპს, დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს, მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს„ჩვენ“ განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

მართვის საინფორმაციო სისტემაში eschool ასახული მონაცემები;

გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით:შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება;კრიტიკული შემთხვევების შეფასება;გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება;სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე, მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკისა და დირექტორთან ინტერვიუს შედეგად, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა დაგეგმავს მიზნობრივი განვითარების პროცესს;სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების სახით, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ხელმძღვანელობს, მასწავლებლები გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების ხელშემწყობ აქტივოებებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც, ძირითადად, გამოიხატება შესაბამის ტრენინგებზე მათ დარეგისტრირებაში. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება,აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით.სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბუღალტრის გადამზადების სხვადასხვა სერთიფიკატი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს თანამშრომლის სოციალიზაცია -ადაპტაციის პირობებს,რომლის მიხედვით: ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია სკოლის დირექციის წარმომადგენელი.მოცემული პროცედურა მოიცავს ახალმიღებული თანამშრომლების სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის ეფექტურად განხორციელების პროცესის აღწერას, თანმიმდევრულ ნაბიჯებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

დაწესებულების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
სკოლის შინაგანაწესი;
ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;
ინტერვიუს შედეებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის (დებულების) შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად იკითხება ციკლურობა, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედვის ეტაპებს. პროცესული მიდგომა იკვეთება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში,აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუს შედეგებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები,მოსწავლეთა თვითმმართველობა,სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ. -ში. მაგალითად,

დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში,პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში , როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოგენილია საჩივრების განხილვის და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით დოკუმენტი-საჩივრების განხილვის წესი, ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი;
ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი;სკოლაში მუშაობენ მანდატურები.თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის შინაგანაწესი;
სკოლაში დასაქმებული მანდატურები;
ინტერვიუს შედეგები,

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,, სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლაში საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი'' , რომელიც განსაზღვრავს სკოლაში დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმს.აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს.დოკუმენტის მიხედვით, სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად გარე კომუნიკაციის წყაროდ იყენებს კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტას Kvenatkotsa@mes.gov.ge სკოლის ვებ გვერდისა და ოფიციალურ Facebook გვერდს.სოციალური ქსელი და სკოლის ვებ გვერდი იძლევა ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიმოქცევის საშუალებას და ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: ა) საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას ,რისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას და

ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას; ბ)საინფორმაციო ფუნქციას რისთვისაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის საჯაროობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

ყველა მასწავლებელი არის ჩართული მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის.სკოლაში აქტიურად მუშაობს სამეურვეო საბჭო,მრჩეველთა საბჭო.ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომუნიკაციის წესი,

კოლეგიალური ორგანოები სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ**

გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენცია სსიპ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან , რომლითაც ითხოვს შესაბამის დაფინანსების გამოყოფას საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებად. ამასთან, დაწესებულებამ MES 289450 (17.03.2025) კორესპონდენციით მიმართა შეაბამის სამახურს სახანძრო უსაფრთხოების გამართულად მუშობის შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ განმარტა, რომ დაფინანსების მოლოდინის რეჟიმშია. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით გაწერილია სსიპ ქარელის მუნიციპალტეტის სოფელ ქვენატკოცის საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღების ვადა 27 ივნისი 2026 წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები, შირმა, რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.დასაქმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ექიმი,აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, დასაქმებული არიან მანდატურები,ამასთან სკოლას ჰყავს დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შონების და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებას, სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობა. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური მდგომარეების მართვისთვის მხარდაჭერას უწევენ საპეციალური მასწავლებლები და სკოლაში დასაქმებული ფსიქოლოგი, ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ მოხდეს მოსწავლის გადამისამართება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სანიტარულ ჰიგიენური ნომრების დაცვის მიზნით სკოლაში და მტკიცებულია შესაბამისი წესი, რომელიც არეგულირებს დაწესებულების მთელს პერიმენტრზე სისუფტავის დაცვის პირობებს, ამასთან სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი , რომლებიც უზრუნველყოფენ სისუფთავის დაცვას. ვიზუალური დათვალიერების სკოლის შენობა მოწესრიგებულია. დაცულია სანიტარული ნორმები, მათ შორის სველ წერტილებშიც .*რჩევა*: სკოლამ ქვეწარმავლების გავრცელების პრევენციის მიზნით,გაათავისუფლოს ეზო ბალახებისა და სამშენებლო ნარჩენებისაგან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება (ბრძ. N 2-59;06.09.24) სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ, დამტკიცებულია ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები(ბრძ. N 2-54) ; დაწესებულებას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რეგისტრირებული კანონმდებლობის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს საკითხებს, რომლის მიხედვით სკოლა შეძლებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩევლეთა საბჭო, რომელსაც დაწესებულების დირექტორი წარუდგენს ანგარიშს სკოლის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო საბჭო იძლევა სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციებს, რომელიც დაწესებულებას ეხმარება არსებული უსაფრთხოების პროცესების პერიოდულ თვითშეფასებაში.ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით;

დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებით;

დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულებით;

ვიზუალური დათვალიერებით;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები(ბრძ. N 2-54);

ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვენატკოცა, ს/კ 68.06.46.443

დაზუსტებული ფართობი : 7038კვ. მ

ძირითადი სასწავლო კორპუსი-2795კვ.მ სკოლაში სულ 25 საკლასო ოთახია, 3 ლაბორატორია.

პირველ სართულზე - საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები,სასადილო,რესურს-ოთახი ბიოლოგიის ლაბორატორია,ექიმის კაბინეტი,მანდატურის ოთახია განთავსებული.

მეორე სართულზე-საკლასო ოთახები ,დირექციის კაბინეტი,სამასწავლებლო,კომპიუტერული კლასი,ბიბლიოთეკაა.

ვიზიტის ფარგლებში სკოლაში ირიცხებოდა 268, მათ შორის 2 სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის(დარბაზი,სხვადასხვა ოთახი). სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტრული ლაბორატორიის სარგებლობის განრიგი.ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ასევე მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლა სრულად არის აღჭურვილი იმგვარად, რომ დაცული იყოს ინკლუზიური გარემო.კერძოდ, ადაპტირებულია გარემო შშმ პირთათვის(პანდუსი,ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება მათი კიდევ უფრო კეთილმოწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;
მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაციით;
შენობის აზომვითი ნახაზით;
ინვენტარიზაციის შედეგებით;
ბიბლიოთეკის დებულებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში კომპიუტერულ ლაბორატორიაში 26 პერსონალური კომპიუტერია, ხელმისაწვდომია 40 ლეპტოპი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის.სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;

საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით;

კომპ.ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი.თუმცა დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ აღნიშული წესი არ ითვალისწინებდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენების წესებს და პირობებს.რის საფუძველზე სკოლამ მიიღო შენიშვნა, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი და წარმოადგინა განახლებული საქმისწარმოების წესი. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის

სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდეცნიების ჟურნალში გატარებული მონაცემებით. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

შემოსული და გასული კორესპონდენციებით;

ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

 სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; დაწესებულება ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდის გზით https://skolebi.emis.ge/schools/2447? ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ, ფოსტას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასაღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კითხვარების ფორმები , რომლის მიხედვით სკოლა მიიღებს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებიდან საკუთარი საქმიანობის შესახებ, სკოლის დირექტორის ინტერვიუს მიხედვით, სკოლა ღიაა სხვადასხვა არხებით მიიღოს ინფორმაცია სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

დაწესებულების ვებ -გვერდზე არ არის სრულად განთავსებული ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ: სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, პროგრამების აღწერილობა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პირობები,გასაჩივრების მექანიზმები . აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა სკოლის ვებ გვერდის ბმული, რომლის დათვალიერებით დგინდება, რომ ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია ასახულია.ინდიკატორი დაკმყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით;

მართვის საინფორმაციო სისტემის დათვალიერებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტის განკარგვას სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;

დაფინანსების ანალიზის შედეგებით;

სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები.სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია სკოლისსაინფორმაციო დაფაზე,ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადაგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ. N 2-28;26.06.2024) ,,მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის,სტატუსის შეჩერების,მობილობისა დაუცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი'', სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო **გეგმაში.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დაწესებულებაში მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) შემთხვევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ სკოლა არ იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობებს, კერძოდ: ვიზიტის დროს სკოლაში ფუნქციონირებდა ფინანსური კლასი (IVლასი), რომელში ჩარიცხულია 30 მოსწავლე. ამასთან, კლასის 26-ე და მომდევნო მოსწავლის ჩარიცხვა (მოსწავლეთა კლასში რიცხოვნობის გარდა)არ იყო შეთანხმებული კანონმდებლობის შესაბამისად,აღნიშნული შესაბამისობაში არ არის "ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N40/ნ ბრძანებასთან, (მუხლი 9. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება. პუნქტი18. საჯარო სკოლაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 25 მოსწავლით. მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით გამონაკლისი დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით. თანხმობა გაიცემა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით კონკრეტულ მოსწავლეზე და ვრცელდება ამავე მოსწავლის მიერ ამავე სკოლის მომდევნო კლასში სწავლის გაგრძელებისას. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 29-ს.)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

<u>სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციით წარმოგნილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც განსაზღვრულია ვადები და აქტივობები (15.09.2025) ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.</u>

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის განმარტებით, დამატებითი მომსახურება არ ხორციელდება, აღნიშნულის გათვალისიწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ სკოლა დამატებით სერვისებს მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;

სკოლის ვებ გვერდი;

ინტერვიუს შედეგები;

მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;

საერთო ბრძანებები;

Eschool ბაზა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 სექტემბრის N2-60 ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი''. ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, ასევე მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს ,მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; დაწესებულების მიერ დამტკიცებული ,,მოსწავლის სასწავლო გარემოს ადაპტაციის წესი" ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის დაწყების მომენტიდან მის სოციალიზაციას და ადაპტაციას, კერძოდ განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში ვიზიტისას შესწავლილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. სემესტრული და ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ მეცადინეობები. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით - ვიზიტის დროს სკოლამ ინტერვიუთი დააზუსტა, რომ პირისპირ შეხვედრები იმართება ინდივიდუალურად). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; დაწესებულების წარმომადგენლის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს. სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში გააცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფსდამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სადამრიგებლო საქმიანობით;

სასკოლო სასწავლო გეგმით;

არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაციით;

მოსწავლეთა ადაპტაციის წესით.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი დამრიგებლების პორტფოლიოები ადასტურებს, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ანხორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით.ამასთან დირექტორმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა, რომ წარსულში სკოლას პროფესიულ დაწესებულებასთან მემორანდუმის ფარგლებში პროფესიული პროგრამების სწავლების პრაქტიკა ჰქონდა სკოლაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა პროფესიული ორიენტაციის დანერგვაში, სკოლა კვლავ გეგმავს სამომავლოდ ამ პროგრამის გააქტიურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუს შედეგით გამოვლინდა, რომ სკოლა გეგმავს მომსახურების ხრისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტიპის კვლევების ჩატარებას.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
ინტერვიუს შედეგებით სკოლის წარმომადგენლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია , მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.
სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქო სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ ოთხჯერ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ.გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას.სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარებისხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა;
სასკოლო სასწავო გეგმა;
ისგ ჯგუფის ოქმები;
ინტერვიუს შედეგები;
ვიზუალური დათვალიერებით.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა ამ ეტაპზე არ თავაზობს მოსწავლეებს დამატებით სერვისებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე არ თავაზობს მოსწავლეებს დამატებით სერვისებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ამ ეტაპზე არ თავაზობს მოსწავლეებს დამატებით სერვისებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტი;
ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებსსასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი კურიკულუმები , კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ცხადყოფს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრა სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია სტანდარტთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდა თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც, თუმცა საჭიროა დამატებითი აქტივობების დაგეგმვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე, ეფექტური კომუნიკაციის მიზანი სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობითი კულტურის დანერგვის ხელშეწყობაა სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღება უზრუნველყოფილია სხვადახვა არხებით - სკოლის ვებგვერდი, სოციალური მედია, სამუშაო შეხვედრები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**ს**კოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაწერილია შესაბამისი საგნის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან

	მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს/ საკითხთა კლასტერს უკავშირდება. საბუნებისმეტყველო კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელებიც თავისი შინაარსით წარმოადგენენ კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს, მაგალითად, სასწავლო/კვლევითი პროექტები, რეფერატები, ანგარიშები და სხვა. იმ შემთხვევაში თუ ძირითად საკითხზე ან საკითხებზე გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების საშუალებით მუშაობა, კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებით ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. ამასთან აღსანიშნია, რომ რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა: საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს მეორე თემის დასახელება, „შეგრძნების ორგანოები“-ს ნაცვლად აისახოს- „ადამიანის შეგრძნების ორგანოები“, მესამე თემის- „რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობის“ ნაცვლად აისახოს- „ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯამრთელობა“. ფიზიკის მე-7 კლასის კურუკულუმის ჩარჩოში ასახული თემა „ფიზიკური მოვლენები“ შესაბამის საკითხებთან ერთად გაერთიანდეს თემასთან „ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები“, დაზუსტდეს დანარჩენი სავალდებულო თემების დასახელებები, კერძოდ, „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“ და „ძალა და წნევა“. თემების მიხედვით აისახოს სრულად საფეხურის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ფიზიკის მე-9 კლასის კურუკულუმის ჩარჩოში დაზუსტდეს სავალდებულო თემის დასახელება- “თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა, მრუდწირული მოძრაობის" ნაცვლად აისახოს “თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა”. თემები “ნიუტონის კანონები და მათი გამოყენება” და “მუდმივობის კანონები, სტატისტიკა” შესაბამის ძირითად საკითხებთან/საკითხთა კლასტერებთან ერთად გაერთიანდეს ერთ თემად- „სტატიკა და დინამიკა“. სკოლას ეძლევა რჩევა: საშუალო საფეხურის ფიზიკის მე-10 კლასის კურიკულუმში მოცემული ძირითადი საკითხები ან საკითხთა კლასტერები გადანაწილდეს ორი თემის ფარგლებში- “ელექტროსტატიკა” და “მუდმივი დენის კანონი”. ფიზიკის მე-12 კლასის კურიკულუმში მოცემული ძირითადი საკითხები ან საკითხთა კლასტერები გადანაწილდეს სამი სავალდებულო თემის ფარგლებში- “მოლეკულური ფიზიკა და თერმოდინამიკა”, “ატომური, ბირთული და კვანტური ფიზიკის საწყისები”,

	“ასტროფიზიკის საწყისები”. მე-11 კლასის ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოში, მესამე თემაში- “არაორგანული ნაერთების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები” ამოსაღებია ჩანაწერი- “მეტალები და მათი ნაერთები”. მე-12 კლასის ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოში, თემების- “ნახშირწყალბადების ქიმიის” და “ფუნქციური ჯგუფების შემცველის” ფარგლებში გააზრებული უნდა იყოს საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, ამდენად, საჭიროა მათი ასახვა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმი სრულად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კურიკულუმში ასახულია: ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები და პრინციპები (მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, ინკლუზიური გარემო, მრავალფეროვანი სწავლების სტრატეგიები); სამიზნე ცნებები, რომლებიც გაწერილია კლასებისა და საფეხურების მიხედვით და სრულად შეესაბამება საგნობრივ სტანდარტში მითითებულ ცნებებსა და თემატურ ერთეულებს; წარმოდგენილია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ აღწერილ შედეგებზე; კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების საჭიროებები და სოციალური კომპეტენციების განვითარება, რაც ასევე განსაზღვრულია ეროვნულ გეგმაში; გამოიყენება ისეთი სწავლების ფორმები და მეთოდები, როგორიცაა პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, სწავლა რეალურ კონტექსტში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, რაც ეროვნული გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია; კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები ასახავს როგორც ზეპირ, წერილობით, ვიზუალურ და ციფრულ პროდუქტებს, ისე კრიტიკულ აზროვნებასა და ჯგუფურ მუშაობას, რაც ეროვნული გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად. დოკუმენტები ადასტურებს ეროვნულ დონეზე დადგენილი მიმართულებების რეალურ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

უცხოური ენები	სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისთვის ორივე უცხოურ ენაში (ინგლისური ენა და რუსული ენა). კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მოიაზრება, როგორც მოსწავლის განვითარების გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ამ ეტაპზე კათედრას შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი აქვს საინტერესო კომპლექსური ტიპის დავალებები (2-2 დავალება თითოეულ კლასში) უცხოურ ენებში შესაბამის სასწავლო შინაარსთან და თემატურ ერთეულებთან ერთად და ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას და საჭიროებებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და პროექტები გათვლილია მოსწავლის ინტერესებზე,ასაკობრივ თავისებურებებზე,უნარებსა და მზაობაზე.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. გაწერილია სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შემოქმედებითი ბუნების დავალებებიდან კურიკულუმში იკვეთება მხოლოდ კომპლექსური დავალებები, თუმცა სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებიც. მიეცათ რჩევა, რომ ყველა საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალების სახელწოდება ჩანაცვლდეს შემოქმედებითი ბუნების დავალებით, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გარდა კომპლექსური დავალებისა, კურიკულუმში შეიტანონ სხვა შემოქმედებითი ბუნების დავალებებიც, რომლებსაც რეალურად ახორციელებენ და აქვთ ამის დამადასტურებელი მასალა.
სპორტი	სამივე საფეხურის შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; შემუშავებული კურიკულუმე/ბი, მასწავლებლის მიერ შედგენილი თვითშეფასების რესურსი სკოლაზე მორგებულია.

ტექნოლოგიები	მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, რომლთა შესრულებისას მოსწავლეს განუვითარდება შემოქმედებითი აზროვნება და ლოგიკურ-ალგორთმული უნარები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ამასთან აღსანიშნია, რომ რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები, **ამიტომ** სკოლას ეძლევა რჩევა დაწყებითი საფეხურის მე-2 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმში, სათაურის ნაწილში გასწორდეს კლასის მითითება და აისახოს სკოლის დასახელება. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმში თემები: “ყვავილოვანი მცენარეები”, “ბუნებრივი მოვლენები”, “მუძუმწოვრები და მათი გარემო”- გაერთიანდეს ერთ თემაში- “ჩემი ქვეყნის ბუნება”. მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული საკითხები ან საკითხთა კლასტერი გადანაწილდეს ორი თემის ფარგლებში- “დედამიწა” და “ციკლური პროცესები ბუნებაში”, ამავე დროს ყველა სამიზნე ცნებასთან აისახოს შესაბამისი დასამუშავებელი ქვეცნებები. ჩარჩოში მოცემული დანართის საფუძველზე (კომპლექსური დავალების მატრიცა) კურიკულუმში დაფიქსირდეს კომპლექსური დავალების იდეა, შეივსოს ძირითადი კონტექს-მაგალითები/ქეისის და “მაგალითი შედარებისათვის” სვეტები. მე- 5 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული საკითხები ან საკითხთა კლასტერი გადანაწილდეს სამ თემაში- “კოსმოსი”, “ეკოსისტემები” და “მოვლენები ჩვენს გარშემი”, აისახოს ყველა სამიზნე ცნებასთან ქვეცნებები. მე-6 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმში, თემების სვეტში აისახოს და დაინომროს მხოლოდ სამი თემის დასახელება: პირველი თემა- “ენერგია და მისი გარდაქმნა”, მეორე თემა- “ნივთიერება და მათი დაყოფის

	გზები", მესამე თემა- "ადამიანის სხეული და ჯამთელობა". მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში ჩაემატოს ქვეცნებები.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, ასევე სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლის მიერ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში წარმოდგენილი საგნობრივი (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებების საგნების - საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, აგრეთვე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სამივე საფეხურზე შუალედურ სასწავლო მიზნებს განსაზღვრავენ კომპლექსური ან/და კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და გასაუჯობესებელი მხარეები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმი ნათლად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. გათვალისწინებულია: დემოკრატიული ღირებულებების, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება; კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ხელშეწყობა; ინტეგრირებული სწავლება და ცხოვრების რეალურ კონტექსტთან დაკავშირება.

	დავალებები, აქტივობები და შუალედური მიზნები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ, ინტელექტუალურ და სამოქალაქო განვითარებას, რაც წარმოადგენს ეროვნული გეგმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას კურიკულუმი შინაარსობრივად სრულად მიემართება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ დავალებებს და აქტივობებს (მაგალითად, სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები; წყვილებში და/ან ჯგუფებში მუშაობა;), რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად.თემატურ ბლოკებში შემავალ თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება,რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული ინტერვიუ.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვითი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, კურიკულუმში ასახულია და თემების შესწავლისას მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. გარდა კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებებისა, სკოლა ახორციელებს სხვა სახის შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, მაგალითად, პროექტებს, რომლებიც ასევე შუალედურ მიზანს ემსახურება.

სპორტი	სამივე საფეხურის, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით.დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება,რომ თემატურ ბლოკებში შემავალ თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები ხელ უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

1. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია სამივე საგანმათლებლო პროგრამებში. საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების- ბიოლოგიის მე-7-ე, მე-8-ე, მე-9-ე, ქიმიის მე-8-ე, მე-9-ე კურიკულუმებში, თემების ფარგლებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე დაფიქსირდეს დაგეგმილი რეალური ან/და ვირტუალური ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო სამუშაოების დასახელება. საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველობის საგნების -ბიოლოგიის მე-10, მე-11, მე-12, ფიზიკის მე-10, მე-12, ქიმიის მე-10, მე-11, მე-12, კურიკულუმებში, თემების ფარგლებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე დაფიქსირდეს დაგეგმილი რეალური ან/და ვირტუალური ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო სამუშაოების დასახელება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის კურიკულუმებში დეტალურად არის წარმოდგენილი როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები – ვიდეოები, ვებბმულები, დოკუმენტური ფილმები, ვიზუალური წყაროები. რესურსები შერჩეულია თემატური ერთეულების მიზნებთან შესაბამისობით და ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას, მრავალმხრივი აზროვნების განვითარებასა და ისტორიული კონტექსტის გააზრებას. მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები იყენებენ ციფრულ პლატფორმებს , რაც კიდევ უფრო ზრდის რესურსების ეფექტურობას. რესურსები მიზნობრივად შერჩეულია და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
უცხოური ენები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში ასახულია მრავალფეროვანი რესურსი(სახელმძღვანელო,მოსწავლის რვეული, ელ.რესურსები ბმულის სახით),რაც უზრუნველყოფს ესგ-ით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო

	რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვება, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს რის საშუალებასაც იძლევა სკოლაში არსებული კომპიუტერული ბაზა. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ყველა რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები, არაა შეტანილი კურიკულუმში, მიეცათ რჩევა, რომ ყველაფერი ასახონ და ასევე კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: “რესურსები კომპლექსურზე მუშაობისთვის”, ჩანაცვლდეს “სასწავლო რესურსებით”, ამ უკანასკნელში მიეთითოს ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავებისას.
სპორტი	სამივე საფეხურის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები,
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია და შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

2. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) და დაწყებითი კათედრის საბუნებისმეტყველო პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ახორციელებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სსსმ მოსწავლეების სწავლებას. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასევე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად, თუმცა ასეთი მკაფიო ტენდენცია ა იკვეთება შემაჯამებელ დავალებების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა: საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ინტერვიუს ჩაწერისას საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებებიდან და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ინტეგრირებული სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული დავალებები და შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, რაც ასახულია კურიკულუმში და მასთან დართულ გეგმებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის, ასევე – ადაპტირებული დავალებების მაგალითები. მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის შესაძლებლობა – როგორ ფორმატში შექმნან პროდუქტი: წერილობითად, ვიზუალურად, ზეპირად ან ციფრული საშუალებით. ეს აჩვენებს დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკულ რეალიზაციას. ასე,რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპებს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც დადასტურებულია როგორც დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუს შედეგად.
უცხოური ენები	კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ინგლისურ და რუსულ ენებში; ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრა აქტიურად თანამშრომლობს სკოლის სპეცმასწავლებელთან და მისი რეკომენდაციით ადგენენ სსსმ მოსწავლის ინდივიდულურ გეგმას; მათ

	აგრეთვე აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ათვლის წერტილი არის თითოეული მოსწავლე; შესაბამისად, სასწავლო პროცესში კათედრის მუშაობა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რომლის დროსაც მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესის სფეროს და სწავლის უნარებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრა, სასწავლო პროცესის, შინაარსის, საბოლოო პროდუქტის ფორმის დიფერენცირება, შესაბამისი ეფექტური რესურსების შერჩევა; განსახორციელებელი აქტივობების, დასასწავლი მასალის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება.
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პროგრესზე. ამას ადასტურებს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მრავალფეროვანი რესურსი(აუდიო-ვიდეო,ვიზუალური).
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლომ პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას.
მათემატიკა	ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სასწავლო პროცრსის დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს; წინა გამოცდილებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, ასევე სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული აქვთ დავალებები.
სპორტი	სამივე საფეხურის, მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ მოსწავლეებს

	შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. რაც შეეხება შეფასებას, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ეს არის საშუალება მოსწავლისთვის, გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ინდ. სასწავლო გეგმა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და თავისებურებების გათვალისწინება
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება,რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე.

3. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სკოლის სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და დამატებით წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებების ნიმუშებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის მე-7 მუხლით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მასწავლებლებმა არასრულად წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების მოდელები - სოლო ტაქსონომიით შეფასება და მოლოდინების ცხრილის რუბრიკები, სადაც მაქსიმალურად დეტალურად არის გაწერილი თუ რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს მოსწავლისგან შესასწავლი საკითხიებს, ქვესაკითხების მიმართებითი და აბსტრაქტული დონეებზე გააზრების შემთხვევაში. საბაზო საფეხურზე, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს საბუნებისმეტყველო ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

	სკოლას ეძლევა რჩევა საშუალო საფეხურზე, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს საბუნებისმეტყველო საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მოდელი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. ინტერვიუსა და დოკუმენტური მასალების (კურიკულუმი, რუბრიკები, მაგალითები) საფუძველზე დადასტურდა, რომ: შეფასება დაფუძნებულია როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ მოდელის მიხედვით. გამოყენებულია როგორც ჰოლისტური, ისე ანალიტიკური რუბრიკები (მაგალითად, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვ.); შეფასების პროცესში ყურადღება მახვილდება მოსწავლის აკადემიური უნარების ზრდის პროცესზე. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ შეფასების კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ასე რომ, შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, არის სანდო, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული.
უცხოური ენები	კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.: ზეპირი და წერითი მეტყველების დავალებების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის, დამოუკიდებელი და საშიანაო დავალების, გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკები;). სკოლას ეძლევა რჩევა:

	დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში განმავითარებელი, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურზე და დაწყებით საფეხურზე V კლასის მეორე სემესტრში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები, ანუ რის მიღწევა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები(ჰოლისტური,ანალიტიკური)შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან.
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ;ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.
მათემატიკა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები როგორც ზოგადი სახის, ისე კონკრეტული თემისათვის შექმნილი. გამოყენებულია შეფასება სოლო-ტაქსონომიით. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს დართული აქვს რუბრიკის მიხედვით გაკეთებული როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. დაწყებით საფეხურზე მე-2 და მე-3 კლასების კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები ზუსტად ერთნაირია, მიეცათ რჩევა, რომ დაზუსტდეს შეფასებები კლასების მიხედვით.
სპორტი	სამივე საფეხური პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება მოძრაობაში. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ტექნოლოგიები	სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ შეფასების სქემებზე, მათ გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა. შ. დასასრულს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელშეფასებას. სკოლას ეძლევა **რჩევა** ვინაიდან მათემატიკის მე-2 და მე-3 კლასების კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები იდენტურია, მიეცათ რჩევა, რომ დაზუსტდეს შეფასებები კლასების მიხედვით. სკოლას ეძლევა **რჩევა** დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მომზადდეს შესაბამისი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხების მიმართებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე-6 და ნაწილობრივ მე-5 კლასების მე-II სემესტრის) შეფასების რუბრიკები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმები მოიცავს ეროვნული გეგმის მოთხოვნებზე მორგებულ თემატურ ერთეულებს, შუალედურ მიზნებს, აქტივობებს და დიფერენცირებულ დავალებებს. დავალებები (პროექტები, სიმულაციები, დისკუსიები) და ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება გაკვეთილის გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა რეფლექსიით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, რომლებიც კურიკულუმთან შესაბამისობას ადასტურებს.

უცხოური ენები	სასწავლო პროცესი სრულად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული მეთოდები და შეფასების ფორმები. ამის მტკიცებულებაა წლიური და თემატური დაგეგმვები, გაკვეთილის გეგმის ნიმუში, განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუში, აანალიზი და მასწავლებლის რეფლექსია, რაც ადასტურებს კურიკულუმთან შესაბამისობასა და სისტემურ მიდგომას.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად,რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუთი.მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებში ჩანს,რომ სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები მუშავდება თითოეულ თემასა და საკითხთან მიმართებით.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად თითოეულ საფეხურზე. კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებულია თემების, სამიზნე ცნებების დამუშავება. თემების შესაბამისად შესრულებულია შემაჯამებელი სამუშაოები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები.
სპორტი	სამივე საფეხური, სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნა, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. პედაგოგმა დაასახელა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, წარმოდგენილი დოკუმენტაცის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში მოქმედებებს გამოვლენილ საჭიროებებზე, როგორიცაა პედაგოგის ჩანაცვლება შემცვლელი მასწავლებლით და სხვ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქიდან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის თვითშეფასებისა და ინტერვიუს მიხედვით, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა იყენებს გააზრებულ, სტანდარტზე მორგებულ შეფასების სისტემას. გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მოდელები, რუბრიკები არის ჰოლისტური და ანალიტიკური, კრიტერიუმები წინასწარ არის გაზიარებული მოსწავლეებთან. შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვერიფიკაციის დოკუმენტზე და მოსწავლეთა პროგრესზე ორიენტირებულ მიდგომაზე.
უცხოური ენები	სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი და აღწერილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი; როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კათედრას აქვს მზაობა, რომ შექმნას ისეთი ეფექტური შეფასების სისტემა, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში გამოკვეთილია შეფასების მიზანი, კრიტერიუმები და ინდიკატორები.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.ინტერვიუს დროს აღინიშნა,რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების) საკითხი ,რომელიც ამოწმებს რამდენად სწორად არის შედგენილი და გამოყენებული შეფასების რუბრიკები,შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა და შეფასების ფორმები.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რომელიც გულისხმობს მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი.

მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. დავალებებს ახლავს შეფასების კრიტერიუმები, შემაჯამებელ დავალებებში მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები, რაც ადასტურებს შეფასების ვალიდურობას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, რაც გამჭირვალეს ხდის შეფასებას. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრაებს ახლავს შეფასება, რომელიც გაკეთებულია რუბრიკის მიხედვით, არის როგორც განმავითარებელი უკუკავშირი, ისე განმსაზღვრელი შეფასება.
სპორტი	სამივე საფეხურის კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, მასში დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

   სკოლას შემუშავებულია აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი , რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით,ინდიკატორი დაკმაყოფილებლია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. ინფორმაციის ასახვა ხდება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე, მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატარებს შესაბამის ზომებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;

- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. პრაქტიკულად ყველა საფეხურის კურიკულუმებში ასახულია სხვადასხვა დამხმარე რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას, და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მეთოდური მითითებები, პროტოკოლები, ინსტრუქციები და ა.შ. აქიდან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა** **საბაზო საფეხურის** მე-**12-კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში დასახელდეს ბიბლიოგრაფიული გაფორმების სტილის დაცვით ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო** **სკოლას ეძლევა რჩევა**

	მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში დასახელდეს ბიბლიოგრაფიული გაფორმების სტილის დაცვით ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო **სკოლას ეძლევა რჩევა** **საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-7, მე-8, მე-9, კურიკულუმების ჩარჩოებში შეივსოს მრავალფეროვანი** დამატებითი რესურსები, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა. აგრეთვე, განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა. სკოლას ეძლევა რჩევა საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების -ბიოლოგიის მე-10, მე-11, მე-12, ფიზიკის მე-10, მე-12, ქიმიის მე-10 (მეორე, მესამე თემის ფარგლებში), მე-12, კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა. აგრეთვე განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დოკუმენტური მასალა და ინტერვიუები მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი (სახელმძღვანელოები), ასევე დამატებითი რესურსები – ვიდეოები, ვიზუალური მასალა. აღსანიშნავია ცალკეული მაგალითები, სადაც გამოყენებულია ელექტრონული პლატფორმები. რესურსების შერჩევა უმეტესწილად ეხმიანება კურიკულუმში გაწერილ მიზნებს, თუმცა მათ გამოყენებაზე პრაქტიკული ანალიზი დოკუმენტში მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი. ასე რომ,სასწავლო პროცესში ძირითადად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები; პრაქტიკაში მისი ეფექტიანობის დაფიქსირება ნაწილობრივად ჩანს დოკუმენტაციით.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ისე დამატებითი დამხმარე რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლების მიზნებთან შესაბამისობას. სასწავლო პროცესში ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად გამოყენებულია აუდიო-ვიზუალური მასალა, სამუშაო ფურცლები, ინტერნეტრესურსები და დიფერენცირებული დავალებები. ამის მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსების ნუსხა, აგრეთვე, გაკვეთილის გეგმის ნიმუში, განხორციელებული კომპლექსური ტიპის

	დავალება, სოციალური პროექტის გეგმა, გამოყენებული მასალები, მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ადასტურებს რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას სასწავლო პროცესის გამდიდრებისა და ეფექტიანობისთვის.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვ.და გამ.ხელოვნების კურიკულუმში ასახულ ძირითად საგანმანათლებლო რესურსთან ერთად,ასახულია დამატებითი დამხმარე საგანმანათლებლო რესურსიც,რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.მრავალფეროვანი რესურსის ეფექტიანობას ადასტურებს მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვება, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
მათემატიკა	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ნუსხა წარმოდგენილია როგორც კათედრის დოკუმენტებში, ისე კურიკულუმში. სკოლის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება საგნის თემატიკას და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. სკოლას ეძლევა რჩევა, ყველა საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად, პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები.
სპორტი	სამივე საფეხური, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ახალი კურიკულუმის შექმნამდე კათედრამ შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნან ახალი კურიკულუმი. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც.

ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები; კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები; ინტერნეტრესურსები სასწავლო მიზნით შექმნილი მულტიმედიური პროდუქტები , განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალება, მოსწავლეთა ნამუშევრები -პრეზენტაცია Power Point-ის გამოყენებით, რაც ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნინეს რომ იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს,შესაბამისად სკოლას ეძლევა რჩევა მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტის არარელევანტური დასახელების- “სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის”, ნაცვლად ასახოს “სასწავლო რესურსები” პერველი და მე-3 კლასების კურიკულუმებში დასახელდეს ბიბლიოგრაფიული გაფორმების სტილის დაცვით ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა. აგრეთვე განიხილოს რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად,

	რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. დაწესებულებას ეძლევა რჩევა, სკოლამ ან საბუნებისმეტყველო კათედრამ საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს დროულად პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესება. დაწესებულებას ეძლევა რჩევა, სკოლამ ან საბუნებისმეტყველო კათედრამ საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს დროულად პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის თვითშეფასებასა და ინტერვიუს მონაცემებით ირკვევა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსის შერჩევა არ ხდება სპონტანურად - მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ შერჩეულ მასალას, საჭიროების შემთხვევაში ხდება შეთანხმება კათედრაზე. თუმცა, რესურსის ვალიდაციის პროცესი არ არის სრულად დოკუმენტირებული. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კონკრეტული რესურსები გამოყენებულია, მაგრამ არ არსებობს მკაფიო მექანიზმი ან ფორმა, რომელიც სისტემურ ვალიდაციას აჩვენებს (მაგ., წარდგენის და დამტკიცების წესი, პასუხისმგებელი პირები). მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში რესურსის შერჩევა ხდება გააზრებულად, სკოლის მხრიდან ვალიდაციის ფორმალიზებული მექანიზმი სრულად არ იკვეთება.
უცხოური ენები	რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება საგნობრივ კათედრაზე შეთანხმების და რეკომენდაციის საფუძველზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია

	საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა, რაც ადასტურებს რესურსების მიზნობრივ და პასუხისმგებლიან შერჩევას.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრა ახორციელებს დამატებითი რესურსის შერჩევას,რომელიც შეესაბამება ესგ-ის ორივე საგნის სტანდარტს,რასაც მოწმობს კათედრის ოქმები.
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე.გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა.
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა კათედრაზე ხორციელდება, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ნუსხა. რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით საგნის პროგრამას, ეფექტურია და ეხმარება სწავლების პროცესს.
სპორტი	სამივე საფეხურის კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში გამოყენებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები შეთანხმებულია კათედრასთან, რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას, ეფექტურია და ეხმარება სწავლების პროცესს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. დაწესებულებას ეძლევა რჩევა,

	სკოლამ ან საბუნებისმეტყველო კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს დროულად პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესება.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების- ბუნებისმენყველების, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის შესწავლისას, მატერიალურ რესურსებს მიეკუთვნება სხვადასხვა აღჭურვილობა, რეაქტივები, ხელსაწყოები, ვიზუალური საშუალებები. ეს რესურსები აუცილებელია ლაბორატორიული სამუშაოების, სადემონსტრაციო ექსპერიმენტების და პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს თეორიული მასალის უკეთ ათვისებას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. საყურადღებოა ისეთი რესურსები, როგორიცაა- ინტერაქტიული დაფები, პროექტორები ან თუნდაც ერთი კომპიუტერი ლაბორატორიაში, რომლებიც შესანიშნავი ინსტრუმენტებია მასწავლებლებისთვის, რათა მათი გაკვეთილები უფრო მიმზიდველი და ინტერაქტიული გახადეს. ეს რესურსები მასწავლებელს საშუალებას აძლევს რეალური დროის რეჟიმში აჩვენოს და დაუკავშირდეს მულტიმედიურ კონტენტს, როგორიცაა ვიდეოები, სურათები და პრეზენტაციები. ადგილზე დათვალიერებით და პედაგოგებთან ინტერვიუდან დადასტურდა, რომ სკოლაში **ამჟამად არ არის სრულყოფილი ლაბორატორიები**, არის თვალსაჩინო მასალების მცირე რაოდენობა, ამიტომ დაწესებულების საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის **საჭიროა შეიქმნას ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიები შესაბამისი ავეჯითა და სამუშაო ზედაპირებით, უსაფრთხოების აღჭურვილობით, ვენტილაციით და წყალთან წვდომით, აგრეთვე შეიძინონ ახალი ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის**

	ლაბორატორიული და პრაქტიკული აღჭურვილობა, რეაგენტები, სხვადასხვა მოწყობილობები ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კანონების ილუსტრირებისთვის. შეივსოს სასკოლო ლაბორატორიები ახალი თვალსაჩინო მასალებით (ცხრილები, პლაკატები, სქემები, ატლასები, ვიდეომასალები და სხვა)აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. <u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც ლაბორატიით აღჭურვის ვადად განსაზღვრულია 09.07.2026წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა მცირე კონტინგენტის სტატუსს შეესაბამება , რაც განსაზღვრავს სპეციფიკურ მოთხოვნებს ინფრასტრუქტურისა და რესურსების კუთხით. თვითშეფასებისა და ინტერვიუს მიხედვით, სკოლის მატერიალურ ბაზას შეადგენს: შესაბამისი ოთახები, პრეზენტაციის ტექნიკა, საკლასო დაფები და ციფრულ რესურსებზე წვდომა. თუმცა, არსებული დოკუმენტებიდან ნაკლებად იკვეთება სისტემური ანალიზი იმისა, რამდენად და როგორ უკავშირდება მატერიალური რესურსები კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას. არ ჩანს შეფასების ან ანგარიშგების ფორმა, რომელიც აჩვენებს რესურსების გავლენას სწავლაზე.
უცხოური ენები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სივრცის ამსახველი ფოტო მასალა. ამასთანავე, სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში.
ესთეტიკური აღზრდა	პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მისაღწევად ისინი მუდმივად იყენებენ ,საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მატერიალურ რესურსს,რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის და აისახება მათ აქტიურ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში.
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას)

მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას გაიღრმავონ ცოდნა ციფრული პლატფორმების მეშვეობით. სკოლას გააჩნია კარგი კომპიუტერული ბაზა, რაც აკმაყოფილებს მოსწავლეთა რაოდენობას და სრულად ხელმისაწვდომია მათთვის. გარადა ელ.რესურსებისა იყენებენ პრაქტიკული დავალებების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსებს (სახაზავები, საზომი ლემტი, კუთხის მზომი, ლაზერი და ა.შ.), რომლებიც არაა შეტანილი კურიკულუმში. ყველა ამ მატერიალური რესურსის გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ეფექტურონას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სამივე საფეხური, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სპორტის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები,
ტექნოლოგიები	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებით და პროექტორებით, რაც იძლევა საშუალებას სკოლამ განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული ვალდებულებები. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას გაიღრმავონ ცოდნა ციფრული პლატფორმების მეშვეობით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას არ ჰყავს დაწყებით საფეხურზე -ქართულის, საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის კანონმდებლობის შესაბამისი კადრი დასაქმებული.აღნიშნიულის გათვალისწინებით ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი კურიკულუმები;
ინტერვიუს შედეგები;
თანამშრომელთა პირადი საქმეები.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

   სკოლაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი ., კათედრის წევრებს შორის ხორციელდება როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ შეხვედრები , სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს. სკოლაში ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტები , რომლის მიზანია გაირკვეს ,თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების

მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ კავშირშია სასწავლო პროცესთან . ინდიკატორი დაკმაყოფილებიული.ა

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა) იკვეთება, რომ არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -"მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას" -დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმებით;
- სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის და შეფასების მეთოდოლოგიით;
- ინტერვიუს შედეგებით.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლა გეგმავს შიდა-სასკოლო სადიაგნოსტიკო წერების შედეგებთან შედარებას კათედრის დონეზე. რითაც განსაზღვრული აქვს, რომ შეძლებს ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები, შემდეგ კი დაგეგმოს ინტერვენციები. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების კონკრეტული

წარმომადგენლების საჭიროებების დადგენას და მათ დახმარებას. ასევე პედაგოგთა პროფესიული საქმიანობის დროს ხარვეზების გამოვლენასა და იდენტიფიცირებას, ასევე მათი აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ითვალისწინებენ მოსწავლეების სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობას . რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვევა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მათი დასკვნის სისწორეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი -"შეფასება შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით" -დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი -"შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები" -დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ გარემო არის მულტიკულტურული. პედაგოგებს აქვთ გარკვეულწილად გამოცდილება დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომისა სასწავლო პროცესში. შექმნილი აქვთ სსმ მოსწავლის შეფასების რუბრიკა. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლა გაითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს შეფასების დროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმით;
- საგნობრივი კურიკულუმით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა აღწერილი წარმოდგენილ დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება

ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება

განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -" კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს" -დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმით;
- საგნობრივი კურიკულუმით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 27.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: